

ანალიტიკური წერა

C ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ერთ-ერთი პარკი წლების მანძილზე უბნის მაცხოვრებელთა თავშეყრის ადგილი იყო. სასეირნო ზონას ხეებით დაბურული გარემო და ვიწრო საცალფეხო ბილიკები ქმნიდა. პარკში იდგა ხის სკამებითა და მაგიდებით გაწყობილი საზაფხულო ნაგებობა.

შემოდგომაზე ადმინისტრაციამ პარკი განაახლა. სასეირნო ზონის შემცირების ხარჯზე მოაწყვეს სასპორტო მოედანი, ასევე, საბავშვო კუთხე, რომელიც ქვით მოაპირკეთეს. საზაფხულო ნაგებობა საესტრადო მუსიკის დარბაზად გადააკეთეს.

ერთი თვის შემდეგ ადმინისტრაციამ შეაფასა ჩატარებული ღონისძიებების შედეგები. მიუხედავად პარკის ადმინისტრაციის მოლოდინისა, რომ განახლებული პარკი უბნის მაცხოვრებლებში მეტი პოპულარობით ისარგებლებდა, მოხდა პირიქით, პარკში დამსვენებელთა რიცხვმა იკლო. ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ მის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა არ გაამართლა.

კრიტიკულად შეაფასეთ პარკის ადმინისტრაციის დასკვნა; ახსენით, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო პარკის ადმინისტრაციის მოლოდინი არ გამართლდა.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – გადაწყვეტილების დასაბუთება

დავალებაში მოცემულია გადასაწყვეტი საკითხი, მისი გადაჭრის ორი შესაძლო გზა (1, 2) და ორი პირობა (ა, ბ). მოცემული პირობების გათვალისწინებით გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთი შესაძლებლობის სასარგებლოდ. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევნის დასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

მარიამმა უნდა მოამზადოს სამაგისტრო ნაშრომი, რისთვისაც ხელმძღვანელად ორი პროფესორიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი:

1. ერთია ხანდაზმული, დიდი გამოცდილების მქონე პროფესორი. ის დიდ დროს უთმობს სტუდენტებთან მუშაობას – აძლევს რჩევებს, უტარებს ჯგუფურ კონსულტაციებს. პროფესორი თავად უსახელებს მაგისტრანტებს ნაშრომისათვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურას, რომლის მოპოვება მათ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში შეუძლიათ. სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისას ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაშრომის წარმოდგენის ფორმას, მკაცრად მოითხოვს, რომ ის იყოს ენობრივად გამართული.
2. მეორეა ახალგაზრდა პროფესორი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ხშირად უწევს უცხოეთში ყოფნა. ამიტომ მასთან დაკავშირება, ძირითადად, ელექტრონული საშუალებებით არის შესაძლებელი. ის სკაიპით უტარებს მაგისტრანტებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ავალებს მათ, თავად მოიძიონ ინტერნეტით სამაგისტრო ნაშრომისათვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომთა შეფასებისას მისთვის მთავარია შინაარსი, ენობრივ მხარეს ის არ აქცევს ყურადღებას.

რომელი პროფესორი უნდა აირჩიოს მარიამმა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად, თუ მას სურს:

- ა. ნაშრომზე მუშაობის შედეგად მიიღოს კარგი პროფესიული გამოცდილება.
- ბ. ნაშრომზე მუშაობის პროცესი იყოს მისთვის საინტერესო.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.